

მერაბ ჯიქია

*სავარჯიშოთა კრებული*  
*ეკონომიკურ ანალიზში*

(ტესტები და ამოცანები)

ქ.თბილისი

2018 წ.

ამოცანათა კრებული მომზადებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორის **მერაბ ჯანიკოს ძე ჯიქიას** მიერ.

ნაშრომი წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის კურსის სასწავლო სილაბუსის მიხედვით შედგენილ სავარჯიშოთა კრებულს. მასში განხილულია ეკონომიკური ანალიზის უახლესი მეთოდოლოგია, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. მოყვანილი ციფრობრივი მასალა პირობითია.

ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების სტუდენტებისათვის. იგი ასევე, დახმარებას გაუწევს ბუღალტრული, ფინანსური, ანალიტიკური სამსახურის მუშაკებს, აუდიტორებს, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზით დაინტერესებულ პირებს.

**რედაქტორი:**

**რევაზ გოგობია,**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტი:**

**ელენე ხარაბაძე,** სრული პროფესორი

ამოცანათა კრებული რეკომენდებულია დასაბეჭდად ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის მიერ (ოქმი №1, 20 სექტემბერი, 2011 წ.).

## შინაარსი

გვ.

1. ძირითადი განმარტებები -----	4
2. თემატური კითხვები -----	8
3. პასუხები თემატურ კითხვებზე -----	26
4. სავარჯიშო ამოცანები -----	27

## ძირითადი განმარტებები

- **ფინანსური მენეჯმენტი** - კორპორაციული ფინანსების მართვის სისტემაა, რაც სამეწარმეო სისტემის საფუძველია. მისი საბოლოო მიზანია მოგების მიღებითა და ბიზნესში მისი რეინვესტირების (სრულად ან ნაწილობრივ, დასაშვები რისკის ფარგლებში) გზით კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაცია.
- **ფინანსური მართვა** - გადაწყვეტილებების მიღება იმაზე, თუ როგორ ვმართოთ დეფიციტური ფულადი რესურსების გადინება (ხარჯთა) და შემოდინარება (შემოტანა) დროის განსაზღვრული პერიოდის გენმავლობაში.
- **მართვის ობიექტი**- საწარმოს (ფირმის ფინანსური რესურსებია, რაც წარმოადგენს ფულადი საშუალებების ყველა )წყაროს ერთობლიობას და რომელიც აკუმულირებულია ფირმის მიერ ყველა სახეობის საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე, ფირმის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.
- **ფინანსების მართვის სუბიექტებია:** ფირმის უმაღლესი მმართველობითი პერსონალი; კომპანიის ფინანსების მართვის სპეციალიზირებული განყოფილება და სამსახური; სპეციალისტები – პროფესიონალი ფინანსური მენეჯერები.
- ფინანსების მართვა მიმართულია სტრატეგიული და ტაქტიკური ფინანსური გადაწყვეტილებების სარეალიზაციოდ. **სტრატეგია** შესაძლებლობას იძლევა თავი მოუყაროთ ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა ყველა ვარიანტს, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან დასახულ მიზანს. **ტაქტიკა** მიმართულია კონკრეტულ სამეურნეო სიტუაციაში წარმოშობილი ცალკეული ამოცანის გადასაწყვეტად. ფინანსური სტრატეგიის შედარებით სტაბილურობის პირობებში, ფინანსური ტაქტიკა გამოირჩევა მეტი მოქნილობით, რასაც იწვევს ცვლილებები საბაზრო კონიუქტურაში.
- **ფინანსების მართვის ძირითადი ფუნქცია** დაიყვანება აქტივების, კაპიტალის, ინვესტიციების, ფულადი ნაკადების, ფინანსური რისკების მართვამდე. ფინანსური საქმიანობის პრაქტიკაში კომპანიის წინაშე დგება ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანა – მოიძებნოს კომპრომისი ფირმის ლიკვიდობის საკმარისი დონის შენაჩუნებით, მიღწეულ იქნეს კომპანიის ეფექტიანად საქმიანობა.

- ფინანსების მართვაში ნებისმიერი სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღება, იწყება და სრულდება ფინანსური და ეკონომიკური ანალიზით – სამეურნეო სუბიექტის ფინანსური საქმიანობის ძირითადი შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესწავლით.
- ფირმის ფინანსური რესურსები წარმოადგენს ფულადი საშუალებების ყველა წყაროს ერთობლიობას, რომელიც აკუმულირებულია ფირმის მიერ ყველა სახეობის საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე, საწარმოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.
- სამეურნეო სუბიექტის ფინანსები - ობიექტური ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს მართვის პროცესს შეზღუდული ფინანსური რესურსებით, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.
- ეკონომიკური ანალიზი - არის მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ანალიზის გარდა მოიცავს დაგეგმვას, აღრიცხვასა და კონტროლს. ეკონომიკური ანალიზი არის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არსის შეცნობის მეცნიერული ხერხი, რომელიც ეფუძნება მათ დანაწევრებას შემადგენელ ელემენტებად, მათ შორის მრავალგვარი კავშირისა და დამოკიდებულების შესწავლის მიზნით.
- ეკონომიკური ანალიზის შედეგები გამოიყენება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების გასაკონტროლებლად, ბიზნეს-გეგმების შესადგენად, საინვესტიციო პროექტებისა და მარკეტინგული პროგრამების სამართავად.
- სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ურთიერთობები არის სამეურნეო საქმიანობის პროცესში ფულადი საშუალებების მოძრაობის შედეგი.
- კომპანიის ფინანსური სისტემა არის კომპანიის ყველა ფინანსური ურთიერთობის ერთობლიობა.
- ფინანსური ანალიზი არის სამეურნეო სუბიექტის ფინანსური საქმიანობის ძირითადი შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის კვლევის პროცესი.
- ეკონომიკური ანალიზის საგანი არის ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

- **ეკონომიკური ანალიზის ობიექტი** არის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური შედეგები.
- **ფინანსური (გარე) ანალიზი** არის ეკონომიკური ანალიზის სახეობა, რომელსაც იყენებენ კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გარე მომხმარებლები და ასევე კომპანიის მმართველობითი პერსონალი იმ დეტალური მონაცემების მისაღებად, რასაც უშუალოდ შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები.
- **მმართველობითი, ანუ შიდა ანალიზი** არის ეკონომიკური ანალიზის სახეობა, რომელიც ფორმირდება შიგა ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრის საფუძველზე და რომელთა მიღებაც ხორციელდება ეკონომისტებისგან, ბუღალტრებისგან, ფინანსური ანალიტიკოსებისგან, მარკეტინგის სამსახურისგან, მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებისგან და რომლის შედეგები გამოიყენება მხოლოდ შიგა მომხმარებლების მიერ ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.
- **ფინანსური აღრიცხვა** – უზრუნველყოფს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციით მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას: კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, მის ქონებრივ მდგომარეობაზე, კომპანიის მმართველობით პერსონალზე და სხვა, რასაც უშუალოდ შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები.
- **მმართველობითი აღრიცხვა** – წარმოადგენს იმ მეთოდების, ხერხებისა და პროცედურების ერთობლიობას, რაც შესაძლებლობას იძლევა მოვახდინოთ საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფიდან და სამსახურიდან შემოსული შიგა ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, გარდაქმნა, ინტერპრეტაცია და წარმოდგენა იმ სახით, რაც აუცილებელია ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.
- **პასუხისმგებლობის ცენტრი** არის ფირმის სტრუქტურული ერთეული ან ქვედანაყოფილება (საქმიანობის სახეობა, წარმოება, საამქრო, ბრიგადა, სამუშაო ადგილი, პროცესი), რომელსაც შეუძლია მოიხმაროს აუცილებელი რესურსები, გაზომოს, შეაფასოს მიღწეული შედეგების შესაბამისობა გეგმურ (ნორმატიულ) მაჩვენებლებთან და აქვს პასუხისმგებლობა დასახულ დავალებათა შესრულებაზე.
- **ფინანსური ანგარიშგება** არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი,

რომელშიც ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა დამატებითი მაჩვენებლების შესახებ.

- **ბუღალტრული ბალანსი** არის ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც განსაზღვრული თარიღისათვის გვიჩვენებს მოცემული საწარმოს (ფირმის) ფინანსურ მდგომარეობას, ასახავს კაპიტალის მოცულობას და მის სტრუქტურას: შემადგენლობის, განთავსების ანუ დაბანდებათა ძირითადი მიმართულების (აქტივი) და წარმოქმნის წყაროების მიხედვით (პასივი).
- **მოგება/ზარალის ანგარიშგება** ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი კომპონენტია, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე, მათ შორის სხვაობის შესახებ; საერთაშორისო სახელწოდებაა Earnings statement; Profit and Loss Account.

## თემატური კითხვები

### 1. რას ნიშნავს სიტყვა „ანალიზი“?

- ა) მიმოხილვას გაცნობის მიზნით;
- ბ) შედეგების შედარებას;
- გ) დაშლას, დანაწევრებას საგნის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით.

### 2. რას ნიშნავს სიტყვა „სინთეზი“?

- ა) საშუალო მაჩვენებლების გამოთვლას;
- ბ) საგნის ან მოვლენის შესწავლას მის მთლიანობაში, მისი ნაწილების ურთიერთკავშირში;
- გ) ზრდის ტემპის დადგენას.

### 3. რას ნიშნავს სიტყვა „დედუქცია“?

- ა) ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნების გამოტანას;
- ბ) დაშლას, დანაწევრებას;
- გ) სისტემურ კვლევას.

### 4. რას ნიშნავს სიტყვა „ინდუქცია“?

- ა) ზრდის ტემპის შესწავლას;
- ბ) ანალიზურ პროცედურებს;
- გ) კერძო ფაქტებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანას.

### 5. კვლევის ობიექტთან დამოკიდებულების მიხედვით ფაქტორები იყოფა:

- ა) ძირითადი და არაძირითადი;
- ბ) შიგა და გარე;
- გ) სუბიექტური და ობიექტური.



**6. ანალიზური პროგრამის შინაარსის მიხედვით ეკონომიკური ანალიზი შეიძლება იყოს:**

- ა) პირდაპირი და არაპირდაპირი;
- ბ) შიდა და გარე;
- გ) კომპლექსური და თემატური

**7. ეკონომიკური ანალიზის საგანს წარმოადგენს:**

- ა) პროდუქციის თვითღირებულება;
- ბ) სოციალური და ბუნებრივი პირობები წარმოებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში;
- გ) საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შეცნობა.

**8. მართვაში მისი როლის მიხედვით ეკონომიკური ანალიზი იყოფა:**

- ა) პერსპექტიული, ოპერატიული, მიმდინარე;
- ბ) მმართველობითი და ფინანსური;
- გ) სრული, ლოკალური და თემატური.

**9. ანალიზის შიგა სუბიექტებს მიეკუთვნება**

- ა) აქციონერები;
- ბ) მენეჯერები;
- გ) კრედიტორები.

**10. ინფორმაციის ძირითად წყაროს გარე ფინანსური ანალიზის ჩატარებისას წარმოადგენს:**

- ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემები;
- ბ) საწარმოო აღრიცხვის ოპერატიული მონაცემები, ნორმატივები;
- გ) სპეციალური გამოკვლევის მონაცემები.

**11. ფინანსური ანალიზის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს:**

- ა) ფინანსური დარღვევების გამოვლენა და შეფასება;
- ბ) სისტემატური ფინანსური დანაკარგების მიზეზების შეფასება;
- გ) ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების შეფასება.

**12. ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს შემადგენელ ელემენტს:**

- ა) საწარმოს ფინანსური სისტემის;
- ბ) საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მართვის სისტემის;
- გ) საწარმოს მმართველობითი აღრიცხვის.

**13. ეკონომიკური ანალიზი არის:**

- ა) სამეურნეო სუბიექტში მიმდინარე სამეურნეო პროცესების შეცნობის ხერხი;
- ბ) საწარმოს საქმიანობის შინაარსისა და მიმართულების განმსაზღვრელი მეთოდი;
- გ) მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციისა და განზოგადების ხერხი.

**14. რა მიზანს ისახავს ბალანსირების ხერხი?**

- ა) ბუღალტრული ბალანსის შედგენას;
- ბ) მაჩვენებლების დაბალანსებას;
- გ) შესადარი მაჩვენებლების ტოლობაში მოყვანას, გადახრების განსაზღვრას.

**15. რა არის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის კვლევის ობიექტი მიკრო დონეზე?**

- ა) მთლიანი დარგი;
- ბ) გაერთიანება;
- გ) საწარმო (ფირმა).

**16. რა არის „ფარული რეზერვები“?**

- ა) ჯერ კიდევ გამოუვლენელი შესაძლებლობანი;

- ბ) საწარმოს მატერიალური მარაგები;
- გ) საწარმოს ფინანსური რესურსები.

**17. რა არის ეკონომიური საქმიანობის ანალიზის კვლევის ძირითადი მიზანი?**

- ა) ფარული რეზერვების გამოვლენა და ამოქმედება;
- ბ) საწარმოს ფინანსური შედეგების გამოვლენა;
- გ) საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენა.

**18. რას გულისხმობს ცნება „ფაქტორი“?**

- ა) ფაქტების ერთობლიობას;
- ბ) ფაქტების მოპოვებას;
- გ) პირობებს, რომლებიც აუცილებელია სამეურნეო პროცესის განსახორციელებლად. აგრეთვე მიზეზებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესების შედეგებზე.

**19. რას გვიჩვენებს ინდექსი?**

- ა) მაჩვენებლების ჯამს;
- ბ) მაჩვენებლების ნამრავლს;
- გ) ეკონომიკური მოვლენის თანმიმდევრულ ცვალებადობას.

**20. რას ნიშნავს მაჩვენებლების მოყვანა შესადარისობაში?**

- ა) შესადარებელი მაჩვენებლების გაერთოვაროვნებას;
- ბ) ერთნაირ მაჩვენებელთა შერჩევას შესადარებლად;
- გ) მაჩვენებლების დაჯგუფებას.

**21. რას ნიშნავს „ელიმინირების“ პრინციპი?**

- ა) განტოლებათა სისტემიდან უცნობი წევრის თანმიმდევრობით გამორიცხვას;
- ბ) ტოლობის შედგენას;

გ) საკვლევის სიდიდის დაშლას.

**22. რას მოიცავს საგეგმო და ნორმატიული ინფორმაცია?**

ა) ბიზნეს-გეგმას;

ბ) ნორმატივებს;

გ) ბიზნეს-გეგმას, ნორმებს, ნორმატივებს.

**23. რას მოიცავს არასააღრიცხვო ინფორმაცია?**

ა) აუდიტორის, რევიზორის, საგადასახადო ინსპექტორის შემოწმების მასალებს, პრესას, რეკლამაციებს;

ბ) სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებს;

გ) დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მონაცემებს.

**24. რა მიზანი აქვს ფუნქციონალურ-ღირებულებით ანალიზს?**

ა) თავიდან აგვაცილოს თითოეულ ნაკეთობაზე მის წარმოებაში ჩაშვებამდე გაუმართლებელი დანახარჯები;

ბ) გამოავლინოს გადახარჯვები;

გ) დაადგინოს ნაკეთობის ფუნქციები და მათი ღირებულება.

**25. კორელაციის მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურ მოვლენაზე მოქმედ ფაქტორებს შორის:**

ა) არსებობს ფუნქციონალური კავშირი;

ბ) არ არსებობს ფუნქციონალური კავშირი;

გ) არსებობს გენეტიკური კავშირი.

**26. როგორ გავიანგარიშოთ ხარისხიანობის კოეფიციენტი?**

- ა) იგი გაიანგარიშება პროდუქციის ყველა ხარისხის ღირებულების ჯამის შეფარდებით ამავე პროდუქციის შესაძლო ყველაზე მაღალი ხარისხის ღირებულებასთან;
- ბ) მაღალი ხარისხის პროდუქციის ღირებულების შედარებით ყველა (მთლიანი) პროდუქციის ღირებულებასთან;
- გ) მთლიან პროდუქციას გამოკლებული დაბალი ხარისხის პროდუქციის ღირებულება და გაყოფილი მთლიან ღირებულებაზე.

**27. საწარმოს კოლექტივზე დამოკიდებულების მიხედვით ფაქტორები იყოფა:**

- ა) ძირითადი და არაძირითადი;
- ბ) შიგა და გარე;
- გ) სუბიექტური და ობიექტური.

**28. ფაქტორული ანალიზის სახეებია:**

- ა) სტატიკური და დინამიკური;
- ბ) ძირითადი და არაძირითადი;
- გ) სუბიექტური და ობიექტური.

**29. როდის ჩაითვლება ასორტიმენტის მიხედვით გეგმა შესრულებულად:**

- ა) როდესაც ზეგეგმური პროდუქცია ფარავს ზოგიერთი პროდუქციის გეგმის შეუსრულებლობას და იძლევა დამატებით მოგებას;
- ბ) როდესაც პროდუქციის ჩამონათვალი ახალი დამატებითი პროდუქციით არის შევსებული;
- გ) როდესაც გეგმა პროდუქციის ყველა სახის მიხედვით შესრულებულია როგორც ცალკეულად, ასევე მთლიანად.

**30. ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი გაიანგარიშება:**

- ა) საანგარიშგებო პერიოდში მიღებული და გასული ძირითადი საშუალებების ღირებულებებს შორის სხვაობის შეფარდებით პერიოდის დასაწყისისათვის არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან;
- ბ) ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების შეფარდებით ძირითადი საშუალებების პირვანდელ ღირებულებასთან;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში ექსპლოატაციაში გადაცემული ახალი ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფარდებით პერიოდის ბოლოსათვის არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან.

**31. ფონდუკუგება განისაზღვრება:**

- ა) თანაფარდობა ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასა და სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას შორის;
- ბ) თანაფარდობა სასაქონლო პროდუქციის ღირებულებასა და ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის.
- გ) თანაფარდობა საბრუნავი საშუალებების ღირებულებასა და ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის.

**32. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ინტენსიური კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) პროდუქციის გეგმური ან ფაქტობრივი გამოშვების შეფარდებით საწარმოს საშუალოწლიურ საწარმოო სიმძლავრესთან;
- ბ) პროდუქციის საშუალო დღე-ღამური გამოშვების შეფარდებით საშუალო დღე-ღამურ საწარმოო სიმძლავრესთან.;
- გ) სამუშაო დროის გეგმური ან ფაქტობრივი ფონდის შეფარდებით სამუშაო დროის ფონდთან განსაზღვრულს საწარმოო სიმძლავრით.

**33. პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანის წესის მიხედვით წარმოების ხარჯები იყოფა:**

- ა) თვითღირებულებაში შემავალი (ანუ პროდუქტის) ხარჯები და თვითღირებულებაში არშემავალი (ანუ პერიოდის) ხარჯები;
- ბ) პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები;
- გ) ძირითადი და ზედნადები ხარჯები.

**34. აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) ფულადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- ბ) მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- გ) ფულადი საშუალებების, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებებისა და ფულადი მოთხოვნების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

**35. მოგების კლასიფიკაცია ფორმირების რიგითობის მიხედვით:**

- ა) მოგება რეალიზაციიდან, მოგება დანარჩენი რეალიზაციიდან, მოგება რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან;
- ბ) მარჟინალური მოგება, საერთო მოგება, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება;
- გ) მოგება ჩვეულებრივი საქმიანობიდან, მოგება საინვესტიციო საქმიანობიდან, მოგება ფინანსური საქმიანობიდან.

**36. რიტმულობის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის:**

- ა) საანგარიშგებო პერიოდში ფაქტობრივად გამოშვებული პროდუქცია უნდა შევადარდოთ პროდუქციის საგეგმო გამოშვებას;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდში გეგმით გამოსაშვები პროდუქცია უნდა შევადარდოთ პროდუქციის ფაქტობრივ გამოშვებას;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში გეგმის ფარგლებში გამოშვებული პროდუქცია უნდა შევადარდოთ პროდუქციის საგეგმო გამოშვებას.

**37. ხვედრი მასალატევალობა გაიანგარიშება როგორც:**

- ა) დახარჯული მატერიალური და შრომითი რესურსების ღირებულების შეფარდებით გამოშვებული პროდუქციის ღირებულებასთან;
- ბ) დახარჯული მატერიალური რესურსების რაოდენობის შეფარდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან;
- გ) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება მოხმარებული მატერიალური რესურსების ღირებულებასთან.

**38. შრომის ფონდშეიარაღების მაჩვენებელი განისაზღვრება:**

- ა) საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საშუალოწლიური ღირებულების შეფარდებით საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვთან;
- ბ) მანქანებისა და მოწყობილობების ღირებულების შეფარდებით საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვთან;
- გ) ყველა დადგმული და გამოყენებული ძრავების საერთო სიმძლავრის შეფარდებით საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვთან.

**39. მოწყობილობების ცვლიანობის კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) საანგარიშგებო პერიოდში ცვლის ხანგრძლივობების ფაქტობრივი ჯამის შეფარდებით ფაქტობრივად გამომუშავებული მანქანა-ცვლის რიცხვთან;
- ბ) გეგმით გათვალისწინებული მანქანა-ცვლის რიცხვის შეფარდებით მოქმედი და უმოქმედო მოწყობილობების ჯამთან;
- გ) ფაქტობრივად გამომუშავებული მანქანა-ცვლის რიცხვის შეფარდებით სამუშაო დღეებისა და მოქმედი მოწყობილობების ნამრავლთან.

**40. დანახარჯი ერთი ლარის რეალიზებულ პროდუქციაზე განისაზღვრება:**

- ა) რეალიზებული პროდუქციის ღირებულების შეფარდებით ამავე პროდუქციის თვითღირებულებასთან;
- ბ) რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შეფარდებით ამავე პროდუქციის ღირებულებასთან;



- გ) დახარჯული მატერიალური რესურსების ღირებულების შეფარდება გამოშვებული პროდუქციის ღირებულებასთან.

**41. საოპერაციო ხარჯი მოიცავს:**

- ა) რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას, საპროცენტო ხარჯებს, ზარალს საკურსო სხვაობებიდან და მხოლოდ გათვალისწინებულ დანაკარგებს;
- ბ) რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ) ხარჯებს, საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- გ) დაუმთავრებელი წარმოების ნაშთებს, შემოსულობებს და ხარჯს მოგების გადასახადზე.

**42. დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) რეალიზაციიდან წლიური ამონაგების შეფარდებით საშუალო წლიური დებიტორული დავალიანების სიდიდესთან;
- ბ) საშუალო წლიური დებიტორული დავალიანების სიდიდის შეფარდებით რეალიზაციიდან წლიური ამონაგების სიდიდესთან;
- გ) საშუალო წლიური დებიტორული დავალიანების სიდიდის შეფარდებით საშუალო წლიური კრედიტორული დავალიანების სიდიდესთან.

**43. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) საკუთარი კაპიტალის შეფარდებით ბალანსის აქტივების ჯამთან;
- ბ) საკუთარი კაპიტალის შეფარდებით მოზიდული კაპიტალის სიდიდესთან;
- გ) საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შეფარდებით საკუთარი კაპიტალის სიდიდესთან.

**44. საწარმოო ლევერიჯი გვიჩვენებს:**

- ა) საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურისა და მისი გამოშვების მოცულობის ცვლილების გზით;

- ბ) საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილების გზით;
- გ) საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას მარჟინალური მოგების სტრუქტურისა და კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ცვლილების გზით.

**45. საერთო მოგება გაიანგარიშება როგორც სხვაობა:**

- ა) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისა და პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას შორის;
- ბ) დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის;
- გ) საოპერაციო მოგებასა და არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების სალდოებს შორის.

**46. შედეგზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით ფაქტორები იყოფა:**

- ა) ძირითადი და არაძირითადი;
- ბ) შიგა და გარე;
- გ) სუბიექტური და ობიექტური.

**47. რეტროსპექტიული ანალიზი იყოფა:**

- ა) შიგასაწარმოო და საწარმოთაშორისო;
- ბ) ოპერატიული და საშედეგო;
- გ) მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

**48. ფინანსური ლევერიჯი გვიჩვენებს:**

- ა) საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურისა და მისი გამოშვების მოცულობის ცვლილების გზით;
- ბ) საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილების გზით;

- გ) საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციურ შესაძლებლობას მარჟინალური მოგების სტრუქტურისა და კაპიტალის ორგანული შემადგენლობის ცვლილების გზით.

**49. მასალაუკუგება გაიანგარიშება როგორც:**

- ა) დახარჯული მატერიალური რესურსების ღირებულების შეფარდება გამოშვებული პროდუქციის ღირებულებასთან;
- ბ) დახარჯული მატერიალური რესურსების რაოდენობის შეფარდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან;
- გ) წარმოებული პროდუქციის ღირებულების შეფარდება მოხმარებული მატერიალური რესურსების ღირებულებასთან.

**50. შრომის ტექნიკური შეიარაღების მაჩვენებელი განისაზღვრება:**

- ა) საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების შეფარდებით საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვთან;
- ბ) მანქანებისა და მოწყობილობების ღირებულების შეფარდებით მუშების რიცხვზე ყველაზე უფრო დიდ ცვლაში;
- გ) ყველა დადგმული და გამოყენებული ძრავების საერთო სიმძლავრის შეფარდებით საწარმოო პერსონალის საშუალო სიობრივ რიცხვთან.

**51. შუალედური ლიკვიდობის კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) ფულადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- ბ) მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- გ) ფულადი საშუალებების, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებებისა და ფულადი მოთხოვნების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

**52. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯები იყოფა:**

- ა) პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები;
- ბ) ძირითადი და ზედნადები ხარჯები;
- გ) თვითღირებულებაში შემაჯავალი და არშემაჯავალი ხარჯები.

**53. ფონდტევადობა განისაზღვრება როგორც:**

- ა) თანაფარდობა ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასა და სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას შორის;
- ბ) თანაფარდობა სასაქონლო პროდუქციის ღირებულებასა და ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის;
- გ) თანაფარდობა საბრუნავი საშუალებების ღირებულებასა და ძირითადი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებას შორის.

**54. საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების საერთო კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) პროდუქციის გეგმური ან ფაქტობრივი გამოშვების შეფარდებით საწარმოს საშუალოწლიურ საწარმოო სიმძლავრესთან;
- ბ) პროდუქციის საშუალო დღე-ღამური გამოშვების შეფარდებით საშუალო დღე-ღამურ საწარმოო სიმძლავრესთან;
- გ) სამუშაო დროის გეგმური ან ფაქტობრივი ფონდის შეფარდებით სამუშაო დროის ფონდთან განსაზღვრულს საწარმოო სიმძლავრით.

**55. პროდუქციის თვითღირებულებისადმი დამოკიდებულების მიხედვით წარმოების ხარჯები იყოფა:**

- ა) თვითღირებულებაში შემაჯავალი (ანუ პროდუქტის) ხარჯები და თვითღირებულებაში არშემაჯავალი (ანუ პერიოდის) ხარჯებად;
- ბ) პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები;
- გ) ძირითადი და ზედნადები ხარჯები.

**56. ცალკეულ სახეობათა პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:**

- ა) წარმოებული პროდუქციის სტრუქტურის ცვლილება, მუდმივი დანახარჯის სიდიდის ცვლილება და პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯის სიდიდის ცვლილება;
- ბ) წარმოებულ პროდუქციაზე სარეალიზაციო ცვლილება, მუდმივი დანახარჯის სიდიდის ცვლილება და პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯის სიდიდის ცვლილება;
- გ) წარმოებული პროდუქციის მოცულობის, მუდმივი დანახარჯის სიდიდის და პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯის სიდიდის ცვლილება.

**57. მარჟინალური (ზღვრული) მოგება არის სხვაობა:**

- ა) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და რეალიზებული პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას შორის;
- ბ) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და ცვალებად დანახარჯებს შორის;
- გ) დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის.

**58. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობაზე (დუპონის ფორმულის მიხედვით) გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:**

- ა) რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა, აქტივების ბრუნვადობა, ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- ბ) ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან, გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, კომერციული ხარჯები, მმართველობითი ხარჯები;
- გ) საწარმოს მოგება, აქტივების საშუალო-წლიური ღირებულება, გაყიდვების რენტაბელობა.

**59. საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი განისაზღვრება:**

- ა) ფულადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- ბ) მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- გ) ფულადი საშუალებების, მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებისა და ფულადი მოთხოვნების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

**60. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კოეფიციენტი გვიჩვენებს:**

- ა) ბრუნვათა რიცხვს, რომელსაც ახორციელებს საბრუნავი კაპიტალი დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და ახასიათებს რეალიზებული პროდუქციის მოცულობას ერთი ლარის დაბანდებულ საბრუნავ კაპიტალზე;
- ბ) ბრუნვათა რიცხვს, რომელსაც ახორციელებს საბრუნავი კაპიტალი დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და ახასიათებს მოგების სიდიდეს ერთი ლარის დაბანდებულ საბრუნავ კაპიტალზე;
- გ) საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობას, ე.ი. თუ რამდენ დღეში ასრულებს კაპიტალი ერთ ბრუნვას და ახასიათებს რეალიზებული პროდუქციის მოცულობას ერთი ლარის დაბანდებულ საბრუნავ კაპიტალზე.

**61. მოგების კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობების მიხედვით:**

- ა) მოგება რეალიზაციიდან, მოგება დანარჩენი რეალიზაციიდან, მოგება რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან;
- ბ) მარჟინალური მოგება, საერთო მოგება, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება;
- გ) მოგება ჩვეულებრივი საქმიანობიდან, მოგება საინვესტიციო საქმიანობიდან, მოგება ფინანსური საქმიანობიდან.

**62. წმინდა მოგება არის სხვაობა:**

- ა) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და რეალიზებული პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას შორის;
- ბ) რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებსა და ცვალებად დანახარჯებს შორის;
- გ) დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის.

**63. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობა გაიანგარიშება:**

- ა) საბრუნავი კაპიტალის საშუალო სიდიდე გამრავლებული საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობაზე და შეფარდებული ძირითადი საშუალებების საშუალო წლიურ ღირებულებაზე;
- ბ) საბრუნავი კაპიტალის საშუალო სიდიდე გამრავლებული საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობაზე და შეფარდებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებზე;
- გ) საბრუნავი კაპიტალის საშუალო სიდიდე გამრავლებული საანგარიშგებო პერიოდის ხანგრძლივობაზე და შეფარდებული საოპერაციო მოგების სიდიდეზე.

**64. რას გამოხატავს საწარმოო-ფინანსური ლევერიჯი?**

- ა) გამოხატავს საერთო რისკს, რაც დაკავშირებულია ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის შენელებასთან;
- ბ) გამოხატავს საერთო რისკს, რაც დაკავშირებულია საშუალებების შესაძლო უკმარისობასთან საწარმოო და ფინანსური ხარჯების დასაფარავად;
- გ) გამოხატავს საერთო რისკს, რაც დაკავშირებულია საწარმოო და ფინანსური რესურსების დისკონტირების მაჩვენებლის ცვლილებასთან.

**65. როგორ გაიანგარიშება ფინანსური ბერკეტის ეფექტი?**

- ა) როგორც სხვაობა საკუთარი კაპიტალისა და ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობას შორის;

- ბ) როგორც სხვაობა ნასესხებ კაპიტალსა და საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტს შორის;
- გ) როგორც სხვაობა საწარმოო ლევერიჯსა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტს შორის.

**66. ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის გამოიყენება ფინანსური მდგრადობის შემდეგი ტიპები:**

- ა) საერთო მდგრადობა, ნორმალური მდგრადობა, კრიზისული მდგომარეობა;
- ბ) მყარი მდგრადობა, არამდგრადი მდგომარეობა, კრიზისული მდგომარეობა;
- გ) აბსოლუტური მდგრადობა, წინაკრიზისული მდგომარეობა, კრიზისული მდგომარეობა.

**67. მოწყობილობების ექსტენსიური გამოყენების კოეფიციენტი გაიანგარიშება:**

- ა) საანგარიშგებო პერიოდში საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების (საერთო) კოეფიციენტის გაყოფით გეგმით გათვალისწინებული მანქანა-საათების რიცხვზე;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდში მოწყობილობათა დატვირთვის ინტეგრალური კოეფიციენტის გაყოფით გეგმით გათვალისწინებული მანქანა-საათების რიცხვზე;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში ფაქტობრივად ნამუშევარი მანქანა-საათების გაყოფით გეგმით გათვალისწინებული მანქანა-საათების რიცხვზე.

**68. მოწყობილობების ინტენსიური გამოყენების კოეფიციენტი გაიანგარიშება:**

- ა) საანგარიშგებო პერიოდში მოწყობილობების გამოყენების ინტენსიური კოეფიციენტის გაყოფით უნდა გავყოთ ერთ მანქანა-საათში პროდუქციის გეგმურ გამოშვებაზე;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდში ერთ მანქანა-საათში ფაქტობრივი საშუალო გამომუშავების შეფარდებით გეგმურ გამომუშავებასთან;



- გ) საანგარიშგებო პერიოდში მოწყობილობათა ინტეგრალური დატვირთვის კოეფიციენტის გაყოფით უნდა გავყოთ ერთ მანქანა-საათში პროდუქციის გეგმურ გამოშვებაზე.

**69. სამუშაო დროის ფონდი დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:**

- ა) მუშათა რიცხოვნობაზე, ერთი მუშის მიერ საშუალოდ წელიწადში ნამუშევარი დღეების რაოდენობაზე და სამუშაო დღის ხანგრძლივობაზე;
- ბ) მუშათა რიცხოვნობაზე, მუშათა კვალიფიკაციაზე და ერთი მუშის საშუალო დღიურ შრომის მწარმოებლობაზე;
- გ) მუშათა რიცხოვნობაზე, მუშათა დენადობის კოეფიციენტსა და მოწყობილობათა ინტეგრალური დატვირთვის კოეფიციენტზე.

**70. მოწყობილობათა გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტი გაიანგარიშება:**

- ა) საანგარიშგებო პერიოდში საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ექსტენსიური კოეფიციენტი გამრავლებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ინტენსიურ კოეფიციენტზე;
- ბ) საანგარიშგებო პერიოდში მოწყობილობათა გამოყენების ექსტენსიური კოეფიციენტი გამრავლებული მოწყობილობათა გამოყენების ინტენსიურ კოეფიციენტზე;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში მოწყობილობების ცვლიანობის კოეფიციენტი გამრავლებული მოწყობილობათა გამოყენების ექსტენსიური და ინტენსიური კოეფიციენტების ფარდობაზე.

## პასუხები თემატურ კითხვებზე

კითხვა	პასუხი	კითხვა	პასუხი	კითხვა	პასუხი	კითხვა	პასუხი
1	ბ	22	ბ	43	ბ	64	ბ
2	ბ	23	ა	44	ა	65	ა
3	ა	24	ა	45	ა	66	ბ
4	ბ	25	ბ	46	ა	67	ბ
5	ბ	26	ა	47	ბ	68	ბ
6	ბ	27	ბ	48	ბ	69	ა
7	ბ	28	ა	49	ბ	70	ბ
8	ბ	29	ბ	50	ბ		
9	ბ	30	ბ	51	ბ		
10	ა	31	ბ	52	ბ		
11	ბ	32	ბ	53	ა		
12	ბ	33	ბ	54	ა		
13	ა	34	ა	55	ა		
14	ბ	35	ბ	56	ბ		
15	ბ	36	ბ	57	ბ		
16	ა	37	ბ	58	ა		
17	ა	38	ა	59	ბ		
18	ბ	39	ბ	60	ა		
19	ბ	40	ბ	61	ბ		
20	ა	41	ბ	62	ბ		
21	ა	42	ა	63	ბ		

## სავარჯიშო ამოცანები

### ამოცანა №1

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ფაქტორული მოდელი და განსაზღვრეთ პროდუქციის წარმოების მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე **ჯაჭვური ჩასმის ხერხით**.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	პროდუქციის წარმოების მოცულობა (ათასი ლარი)	40 000	40 400
2	ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ათასი ლარი)	20 000	20 404
3	ფონდუკუგება (ლარი)	2,0	1,98

**შენიშვნა:** ფაქტორების გავლენა გაიანგარიშეთ მთელ რიცხვებში.

### ამოცანა №2

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ფაქტორული მოდელი და განსაზღვრეთ პროდუქციის წარმოების მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე **აბსოლუტური სხვაობის ხერხით**.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	პროდუქციის წარმოების მოცულობა (ათასი ლარი)	40 000	40 400
2	ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ათასი ლარი)	20 000	20 404
3	ფონდუკუგება (ლარი)	2,0	1,98

**შენიშვნა:** ფაქტორების გავლენა განსაზღვრეთ მთელ რიცხვებში .

### ამოცანა №3

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ფაქტორული მოდელი და განსაზღვრეთ პროდუქციის წარმოების მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე ფარდობითი სხვაობის ხერხით.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	პროდუქციის წარმოების მოცულობა (ათასი ლარი)	40 000	40 400
2	ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ათასი ლარი)	20 000	20 404
3	ფონდუკუგება (ლარი)	2,0	1,98

შენიშვნა: ფაქტორების გავლენა განსაზღვრეთ მთელ რიცხვებში.

### ამოცანა №4

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ფაქტორული მოდელი და განსაზღვრეთ პროდუქციის წარმოების მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე ინტეგრალური ხერხით.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	პროდუქციის წარმოების მოცულობა (ათასი ლარი)	40 000	40 400
2	ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ათასი ლარი)	20 000	20 404
3	ფონდუკუგება (ლარი)	2,0	1,98

შენიშვნა: ფაქტორების გავლენა განსაზღვრეთ მთელ რიცხვებში.

## ამოცანა №5

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ფაქტორული მოდელი და განსაზღვრეთ პროდუქციის წარმოების მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე ლოგარითმული ხერხით.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	პროდუქციის წარმოების მოცულობა (ათასი ლარი)	40 000	40 400
2	ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება (ათასი ლარი)	20 000	20 404
3	ფონდუკუგება (ლარი)	2,0	1,98

შენიშვნა: ფაქტორების გავლენა განსაზღვრეთ მთელ რიცხვებში.

## ამოცანა №6

განსაზღვრეთ: ა. პროდუქციის გამოშვების რიტმულობა კვარტალში თვეობით და თვეში დეკადობით;

ბ. არიტმულობისა და ვარიაციის კოეფიციენტები.

თვეები დეკადები	სულ	მათ შორის დეკადებში			სულ	მათ შორის დეკადებში		
		I	II	III		I	II	III
იანვარი	700	220	230	250	720	195	240	285
თებერვალი	550	180	180	190	510	185	160	165
მარტი	820	250	270	300	880	230	260	390
I კვარტალი	2070	650	680	740	2110	610	660	840

**მითითება:** პროდუქციის გამოშვება თვეობით და დეკადობით აიღება პროდუქციის გამოშვების გეგმა-გრაფიკიდან და პროდუქციის ჩაბარების პირველადი დოკუმენტების ნაერთებიდან.

**ამოცანა №7**

განსაზღვრეთ მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის მოცულობა; დაადგინეთ მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულების პროცენტები და აღნიშნეთ მიზეზები, რაც განაპირობებს მათ შორის განსხვავებულობას.

(ათას ლარებში)

№	მაჩვენებლები	I ვარიანტი		II ვარიანტი	
		გეგმით	ფაქტობ- რივად	გეგმით	ფაქტობ- რივად
1	სამრეწველო ხასიათის ჩატარებული სამუშაოები	190	431	80	61
2	მზა პროდუქცია	5900	5929	2500	2462
3	დაუმთავრებელი წარმოების ნაშთები	90	240	20	12
4	შიდა ბრუნვისთვის განკუთვნილი პროდუქცია	40	52	30	18
5	სასაქონლო პროდუქცია	?	?	?	?
6	მთლიანი პროდუქცია	?	?	?	?

**ამოცანა №8**

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ ასორტიმენტის მიხედვით გეგმის შესრულების საშუალო პროცენტი:

პროდუქციის სახეები	გეგმით	ფაქტობრივად
A	6000	6000
B	4000	4000
C	2500	3000
D	7000	6700
E	500	500

**ამოცანა №9**

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩაწერეთ ხელფასის ფონდის ფაქტორული მოდელი და გაიანგარიშეთ მისი სიდიდის ცვლილებაზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენა ფარდობითი სხვაობის ხერხით.

მაჩვენებლები	გასული პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
პროდუქციის გამოშვების მოცულობა, ც	5000	4500
შრომატევადობა, კაც-საათი	40	42
შრომის ანაზღაურება 1 კაც-საათზე, ლარი	20	25
ხელფასის ფონდი, ათასი ლარი	4000	4725

### ამოცანა №10

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩაწერეთ ხელფასის ფონდის ფაქტორული მოდელი და გაიანგარიშეთ მისი სიდიდის ცვლილებაზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენა **ჯაჭვური ჩასმის ხერხით**.

მაჩვენებლები	გასული პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
პროდუქციის გამოშვების მოცულობა, ცალი	5000	4500
შრომატევადობა, კაც-საათი	40	42
შრომის ანაზღაურება 1 კაც-საათზე, ლარი	20	25
ხელფასის ფონდი, ათასი ლარი	4000	4725

### ამოცანა №11

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩაწერეთ ხელფასის ფონდის ფაქტორული მოდელი და გაიანგარიშეთ მისი სიდიდის ცვლილებაზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენა **აბსოლუტური სხვაობის ხერხით**.

მაჩვენებლები	გასული პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
პროდუქციის გამოშვების მოცულობა, ც	5000	4500
შრომატევადობა, კაც-საათი	40	42
შრომის ანაზღაურება 1 კაც-საათზე, ლარი	20	25
ხელფასის ფონდი, ათასი ლარი	4000	4725



### ამოცანა №12

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩაწერეთ ხელფასის ფონდის ფაქტორული მოდელი და გაიანგარიშეთ მისი სიდიდის ცვლილებაზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენა ინტეგრალური ხერხით.

მაჩვენებლები	გასული პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
პროდუქციის გამოშვების მოცულობა, ც	5000	4500
შრომატევადობა, კაც-საათი	40	42
შრომის ანაზღაურება 1 კაც-საათზე, ლარი	20	25
ხელფასის ფონდი, ათასი ლარი	4000	4725

### ამოცანა №13

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩაწერეთ ხელფასის ფონდის ფაქტორული მოდელი და გაიანგარიშეთ მისი სიდიდის ცვლილებაზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენა ლოგარითმული ხერხით.

მაჩვენებლები	გასული პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
პროდუქციის გამოშვების მოცულობა, ც	5000	4500
შრომატევადობა, კაც-საათი	40	42
შრომის ანაზღაურება 1 კაც-საათზე, ლარი	20	25
ხელფასის ფონდი, ათასი ლარი	4000	4725

#### ამოცანა №14

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ინტეგრალური მეთოდით, განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	ნაკეთობის რაოდენობა	250	400
2	ერთი ნაკეთობის საბითუმო ფასი	430	450
3	რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	107500	180000

#### ამოცანა №15

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჯაჭვური ჩასმის ხერხით, განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	ნაკეთობის რაოდენობა	250	400
2	ერთი ნაკეთობის საბითუმო ფასი	430	450
3	რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	107500	180000

#### ამოცანა №16

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით აბსოლუტური სხვაობის ხერხით, განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	ნაკეთობის რაოდენობა	250	400
2	ერთი ნაკეთობის საბითუმო ფასი	430	450
3	რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	107500	180000

### ამოცანა №17

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ფარდობითი სხვაობის ხერხით, განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	ნაკეთობის რაოდენობა	250	400
2	ერთი ნაკეთობის საბითუმო ფასი	430	450
3	რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	107500	180000

### ამოცანა №18

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ლოგარითმული ხერხით, განსაზღვრეთ რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე ცალკეული ფაქტორთა გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	ნაკეთობის რაოდენობა	250	400
2	ერთი ნაკეთობის საბითუმო ფასი	430	450
3	რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	107500	180000

### ამოცანა №19

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ პროდუქციის სტრუქტურის ცვლილების გავლენა გამოშვებული პროდუქციის ღირებულებაზე.

მაჩვენებლები	ერთ. საბითუმო ფასი	გეგმით (ერთეულებში)	ფაქტობრივად (ერთეულებში)	გეგმის შესრულების %
A	25	4000	5220	130,5
B	30	3000	2000	66,7
C	35	8000	10000	125
D	40	1000	780	78

## ამოცანა №20

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ:

- I) საწარმოს მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოეფიციენტები და მოწოდების გეგმის შეუსრულებლობის პროცენტი, თუ ცნობილია:
- ა) მასალაზე გეგმური მოთხოვნა შეადგენს – 47000 ტონას;
  - ბ) მოთხოვნათა უზრუნველყოფის შიდა წყარო შეადგენს – 500 ტონას;
  - გ) საანალიზო საწარმოს მიერ აღნიშნული სახის მასალის მოწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოცულობა შეადგენს – 44200 ტონას;
  - დ) ფაქტობრივად მომწოდებლისაგან მიღებულია – 41900 ტონა.
- II) პროდუქციის წარმოების მოცულობის ცვლილება მასალების მიუწოდებლობით, თუ ცნობილია, რომ პროდუქციის ერთეულზე დანახარჯის ნორმა შეადგენს – 0,8 ტონას.

## ამოცანა №21

განსაზღვრეთ ნედლეულის მოწოდების გრაფიკის დარღვევით გამოწვეული მოცდენებისაგან რა დანაკარგები განიცადა საწარმომ და რა ოდენობის მოგება ვერ მიიღო, თუ ცნობილია:

- ფაქტობრივად გამოშვებული პროდუქცია – 6300 ც;
- ერთეული პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება – 56 ლარი;
- ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე – 42 ლარი;
- პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი – 65 ლარი;
- პროდუქციის გეგმური საშუალო საათობრივი გამომუშავება – 9 ლარი;
- პროდუქციის ერთეულის გეგმური თვითღირებულება – 58 ლარი;
- მასალების უქონლობის გამო მოცდენილი მანქანა-საათების რაოდენობა – 2050 მანქანა/საათი;
- საწარმოს მიზეზით მოცდენების ანაზღაურება ყოველ საათზე დადგენილი ტარიფით შეადგენს – 3 ლარს.

## ამოცანა №22

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ წარმოების რიტმულობის, ვარიაციისა და არიტმულობის კოეფიციენტი. ამასთან დაადგინეთ პროდუქციის გამოშვების რა შესაძლებლობა გაუშვა საწარმომ საანგარიშგებო პერიოდში წარმოების არარიტმულობის შედეგად:

(ათასი ლარი)

დეკადურობა	გეგმით	ფაქტობრივი
I	32 000	30 000
II	32 000	34 200
III	32 000	36 600

## ამოცანა №23

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ მოწოდებული ნედლეულის ასორტიმენტული ცვლილების გავლენა პროდუქციის თვითღირებულებაზე და მოგების სიდიდეზე (როგორც თვითღირებულების, ისე გაყიდვების მოცულობის ცვლილებით), თუ ცნობილია:

- ფაქტობრივად გამოშვებული პროდუქცია – 6300 ც; მ.შ. დამატებით გამოშვებული პროდუქცია – 400 ცალი;
- ერთეული პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულება – 56 ლარი;
- ცვალებადი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე – 37 ლარი;
- პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი – 65 ლარი;
- მასალების დამატებით დამუშავებისათვის მუშებისათვის ანაზღაურებული თანხა – 2880 ლარი.

#### ამოცანა №24

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ინტეგრალური მეთოდით, განსაზღვრეთ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე ცალკეული ფაქტორების გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	მთლიანი პროდუქცია (ათასი ლარი)	1830	2219,7
2	მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი	200	210
3	ერთი მუშის მიერ ნამუშევარი დღეები წელიწადში	305	302
4	ერთი მუშის საშუალო დღიური შრომის მწარმოებლურობა (ლარი)	30	35

#### ამოცანა №25

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ჯაჭვური ჩასმის ხერხით, განსაზღვრეთ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე ცალკეული ფაქტორების გავლენის სიდიდე.

№	მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტობრივად
1	მთლიანი პროდუქცია (ათასი ლარი)	1830	2219,7
2	მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი	200	210
3	ერთი მუშის მიერ ნამუშევარი დღეები წელიწადში	305	302
4	ერთი მუშის საშუალო დღიური შრომის მწარმოებლურობა (ლარი)	30	35

### ამოცანა №26

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით, აბსოლუტური სხვაობის ხერხით, განსაზღვრეთ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებაზე ცალკეული ფაქტორების გავლენის სიდიდე.

